



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №55

2019 წლის 28 ივნისი

ქ. ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფში მდებარე 15 კვ.მ ფართის სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიას პირდაპირი გზით მოახდინოს სოფელ სარფში რეგისტრირებული 29240 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, გზის გასწვრივ არსებული 15 კვ.მ ფართის (ს/კ 22.30.02.213) სარგებლობაში გადაცემა მოქალაქე იოსებ მემიშიშვილს.
2. დადგინდეს სოფელ სარფში რეგისტრირებული 29240 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან, გზის გასწვრივ არსებული 15 კვ.მ ფართის (ს/კ 22.30.02.213) თვიური საიჯარო თანხა 410 ლარის ოდენობით;
3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

6.28

